ბრძანება:**ბ115. 115243204**

თარიღი:**15/11/2024**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის

პროექტის საჯარო განხილვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვიმმართველობის კოდექსი“-ს 91-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „რეგლამენტის“ 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.დაიწყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

2.განსახილველ საკითხთა მიმართებაში საჯარო განხილვის წარმოებაზე უფლებამოსილ

ორგანოდ განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო. 2025 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება 2024 წლის 19 ნოემბერს 12-00 საათზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის შენობაში მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. (მის: ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141);

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე მომხსენებლად განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (თ.ტაკიძე);

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (თ.მჟავანაძე) უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდზე **www.kobuleti.gov.ge**, საინფორმაციო დაფაზე და საკრებულოს ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში **www.facebook-qobuletis municipalitetis sakrebulo;**

5. დაინტერესებულმა მხარეებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის

ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები წერილობით წარმოადგინონ 2024 წლის 19 ნოემბერს 11-00 საათამდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში. (მის:ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი N141, მეორე სართული, ტელ: 599 85 64 30);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი